რევაზ ნადარაიას
ავტობიოგრაფია

დავიბადე 1979 წლის 11 აგვისტოს მარტვილის რაიონის სოფელ დიდი ჭყონში.
მყავს მამა - [redacted] მეუღლე - [redacted] და შვილები [redacted]

განათლება:

1996 წელს დავამთავრე დიდი ჭყონის საშუალო სკოლა;

2001 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

2003 წელს ჩავაბარე მოსამართლის თანაშემწის გამოცდა;

2003 წელს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა;

2007 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა;

2009 წელს დავამთავრე იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი.

სამუშაო გამოცდილება:

2002-2005 წლებში ვმუშაობდი „ადვოკატთა კავშირი XXI"-ში ადვოკატად;

2005-2006 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სხდომის მდივნის თანამდებობაზე;

2006-2007 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე;

2007-2009 წლებში გავიარე სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში;

2009-2016 წლებში ვახორციელებდი ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას;

2016-2017 წლებში ვახორციელებდი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლისა და ამავე სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას;

2017 წლის მაისიდან ვარ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2018 წლიდან, აღნიშნულ თანამდებობაზე დავინიშნე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

2017-2018 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებდი სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში;

2018 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებ სამოქალაქო საქმეთა პალატაში;

2019 წლის ნოემბრიდან ვარ საპროკურორო საბჭოს წევრი.

2017 წლის აპრილიდან 2020 წლის ნოემბრამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.